შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ბიზნესის მართვის ფაკულტეტი

კორუფციის ფაქტორების რაოდენობრივი ანალიზი

ურმატ რისკულოვი

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი ბიზნესის მართვაში (ფინანსები და საბანკო საქმე)

თბილისი **2012**

ხელმძღვანელი: დოქტ. მეჰმედ ოზბილგინი .....

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები:

პროფ. დოქტ. Aალექსანდრე მილნიკოვი .....

პროფ. დოქტ. ქეთევან ლაფაჩი .....

ასოც. პროფ. დოქტ. გიორგი ბაღათურია .....

ოპონენტები:

პროფ. დოქტ. ქართლოს იოსებ ყაჭიაშვილი.....

ასოც. პროფ. დოქტ. ჰუსეინ კალიონჯუ.....

რეზიუმე

კორუფციის პრობლემა სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის მხრივ ერთერთი უმთავრესი ფაქტორია.

მოცემულ ნაშრომში განხილულია კორუფციის პრობლემა, მის მიზეზები და შედეგები. ნაშრომი მიზნად ისახავს კორუფციის აღმოფხვრის მიზნით ახალი და ეფექტური საშუალებების შემუშავებას. პარალელურად, განხილულია ისეთი უმთავრესი ფაქტორები, როგორიცაა მმართველობითი ინდიკატორები. განხილულია ურთიერთმიმართება კორუფციასა და ე.წ. კორუფციის ფაქტორებს შორის, გამოყენებულია სტატისტიკური მონაცემები უმთავრესი ფაქტორების დადგენის მიზნით. კვლევის ფარგლებში მთავარი დამოკიდებული ცვლადია კორუფცია, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადებია: სამართლის სისტემა, მმართველობითი ეფექტურობა, პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის არარსებობა, პასუხისმგებლობის დონე, მთლიანი შიდა პროდუქტი, საგარეო ვალი, მოსახლეობა და საგარეო ვალის ოდენობა მოსახლეობის 1 სულზე. სახელმწიფოები, რომლებიც განიხილება ანალიზის ფარგლებში დაყოფილია ოთხ ჯგუფად (დაბალი შემოსავლის, საშუალოზე მაღალი შემოსავლის დონის, საშუალოზე დაბალი დონის შემოსავლისა და მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები).

მოცემული კვლევის ფარგლებში დგინდება, რომ მმართვლეობითი (სამთავრობო) ინდიკატორები, როგორც კორუფციის ფაქტორები, მნიშვნელოვანია განსაკუთრებით დაბალი და საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე სახელმწიფოებში. შესაბამისად, მმართველობითი ინდიკატორები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება. კვლევის ფარგლებში აგრეთვე დგინდება დადგენილია არაპირდაპირი კავშირი კორუფციასა და საგარეო ვალს შორის დაბალი შემოსავლების მქონე სახალმწიფოებში, სადაც, ორივე ფაქტორს – კორუფციასა და საგარეო ვალს გააჩნიათ მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი მმართველობით (სამთავრობო) ინდიკატორებთან. ამასთანავე, კვლევაში გამოყენებულია კორუფციის ფაქტორების თეორიული ანალიზი და დისკრიმინანტული ანალიზი ჰომოგენურ სახელმწიფოთა ჯგუფების გამოსავლენად. მოცემულია სხდასხვა ფაქტორთა შედარებითი ანალიზი კორუფციაზე ზემოქმედების თვალსაზრისით სახელმწიფოთა თითოეულ ჯგუფში, ჩატარებულია აგრეთვე კორელაციური ანალიზი კორუფციის თითოეული ფაქტორისთვის. დაბოლოს, კვლევაში წარმოდგენილია მმართველობითი ეფექტურობისა და კორუფციის შედარებითი ანალიზი საქართველოსა და ყირგიზეთის მაგალითებზე.

შესავალი

კორუფცია განისაზღვრება როგორც ძალაუფლების ბოროტად გამოყენება პირადი მიზნებისთვის. კორუფცია, როგორც მმართველობა-ძალაუფლებისადმი ლტოლვა და მისი ბოროტად გამოყენების ფენომენები არსებობენ მმართველობითი ინსტიტუტების შექმნის დღიდანვე. კორუფცია არსებობას განაგრძობს მრავალი საუკუნეების განმავლობაში. იგი ისეთივე ძველია როგორც თავად კაცობრიობის ისტორია თუმცა, როგორც სოციალური ფენომენი კორუფცია აღიარებულია ბოლო ოთხი ათწლეულის განმავლობაში. რაც შეეხება მიმდინარე ათწლეულს, ინტერესი კორუფციის ფენომენისადმი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ინტენსიური განხილვის საგანს წარმოადგენს კორუფციის არსი, მისი მიზეზები და შედეგები ისევე როგორც ანტიკორუფციული ღონისძიებები. შეიმჩნევა კორუფციის საკითხის განსაჯაროება და ზოგადი ცნობიერების ამაღლება მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღნიშნული ფენომენის ნეგატიური შედეგების აღმოფხვრის მიზნით როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ასპექტების მხრივ. ყურადღება უნდა მიექცეს კორუფციის საფრთხეებს რასაც იგი ატარებს საჯარო სფეროსადმი მიმართებაში ზოგადად.

პრობლემის განსაზღვრა

კორუფციის დრამატული შედეგები ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა სფეროებისადმი მიმართებაში და განსაკუთრებით მისი განვითარების მხრივ ხდება აღნიშნული ფენომენის მიზეზებისა და შედეგების შესწავლისა და კვლევის საბაბი. Kკორუფცია აფერხებს განვითარებას და ხელს უშლის ინვესტიციების შემოდინებას, რაც წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. კორუფცია არღვევს დემოკრატიულ ინსტიტუტებს და საფრთხეს უქმნის მათ არსებობას. დემოკრატიული ინსტიტუტები ფოკუსირდებიან ოპტიმალურ მმართველობაზე და გამჭვირვალეობის პრინციპის დანერგვაზე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. კორუფციის არსებობა გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებიაში მონაწილეთა ქცევის წესებსა და ატიტუტებზე გარკვეული სახით რაც იწვევს არაეფექტურ მმართველობას ზოგადად სამათავრობო ინსტიტუტებში. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის და მათი ლტოლვისთვის დემოკრატიული ღირებულებების დანერგვის მხრივ. კორუფცია არღვევს ბალანსს საზოგადოების წევრების მიერ მატერიალური და სოციალური სიკეთეების თანაბრად სარგებლობის მხრივ. კორუფცია შლის საზოგადოების ზნეობრივ ფუნდამენტს: მოქალაქეები დისტანცირდებიან პოლიტიკური აქტიობისგან, ვრცელდება ზოგადი შეხედულება იმის შესახებ, რომ უმაღლესი ოფიციალური პირები არიან ძირითადად კორუმპირებულნი და ძალაუფლების ბოროტად გამომყენებელნი. მნიშვნელოვნია იმის გარკვევა, თუ რატომ არის კორუფციის ინდექსი მაღალი განვითარებულ ქვეყნებში მაშინ, როდესაც იგივე ინდექსი დაბალია შედარებით დაბალი შემოსავლების მქონე ყვეყნებში.

კვლევის საკითხები

კვლევის საკითხები ემყარება სტატისტიკურ ანალიზს რომლის მიზანია კორუფციის თითოეული ფაქტორის შეფასება (კანონის უზენაესობა, მმართველობითი ეფექტურობა, პოლიტიკური სტაბილურობა, ძალადობის არარსებობა, თავისუფლების ხარისხი, მთლიანი შიდა პროდუქტი, საგარეო ვალი, მოსახლეობა და საგარეო დავალიენება ერთ სულ მოსახლეზე) და თითოეული მათგანის განსაზღვრა ქყვეყნების მოცემული ჯგუფების მიზედვით

კვლევის საგანი

კვლევის საგანს წარმოადგენს კორუფციის შესწავლა ზოგადად და კონკრეტულად განსხვავებული მასშტაბის ეკონომიკებში. მოცემული ნაშრომი შეისწავლის ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კორუფციაზე და იკვლევს ურთიერთმიმართებას მათ შორის. ჩვენ ცვდილობთ გამოვკვეთოთ ფუნდამენტური პრინციპები სახელმწიფოთა თითოეულ ჯგუფთა მიმართებაში რომლებიც მნიშვნელოვანია კორუფციასთან ბრძოლისთვის.

კვლევის მიზანი და ამოცანები

მოცემული კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს კორუფციასა და მის ფაქტორებს შორის ურთიერთმიმართების დადგენა და მათი შესწავლა. სხვა სიტყვებით, კვლევა ავლენს კორუფციის ინდექსის ცვლას იმ მხრივ, იზრდება თუ მცირდება იგი სხვა ფაქტორების ცვლის პარალელურად. კვლევის პროცესში გამოირკვა შემდეგი სახის ამოცანები:

1. კორუფციის არსისა და კონცეპტის განსაზღვრა.
2. კორუფციის ფაქტორების განსაზღვრა და ლოგიკური ვარაუდების შემოთავაზება.
3. კორუფციის ფაქტორების გაანალიზება და მნიშვნელობის მიხედვით პრიორიტეტების განსაზღვრა.
4. იმის დადგენა, არსებობს თუ არა საერთო შეხების წერტილები ფაქტორებთან მიმართებაში სახელმწიფოთა თითოეული ჯგუფის მიხედვით.
5. სხვადასხვა ფაქტორების შედარება კორელაციური ანალიზის საფუძველზე (ნაწილობრივი, ორგანზომილებიანი, მრავალმხრივი).

კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის საშუალებები

მეთოდოლოგია, რომელიც გამოყენებულია მოცემულ კვლევაში წარმოადგენს მარტივ მათემატიკურ მიდგომას რომლის დროსაც გამოითვლება ცვლადების საშუალო და სტანდარტული დევიაციები და მიიღება შესაბამისი ფიგურები ან მაჩვენებლები ცვლადებისა კონკრეტული წლების მიხედვით. Gგამოყენებულ იქნა შესაბამის სახელმწიფოთა შესაბამისი და თითოეული ცვლადი. ამასთანავე

გამოყენებულ იქნა სტატისტიკური ანალიზის დისკრიმინანტი, ძირითადი კომპონენტი და კანონიკური კორელაციის ანალიზები. ანალიზში გამოყენებული სახელმწიფოთა მონაცემები განსხვავდებიან ყველა პარამეტრის მიხედვით და ისინი გაანალიზებულნი არიან რომელიმე კონკრეტული პარამეტრის ან მათი მთელი ჯგუფის მიხედვით. აღნიშნული მეთოდოლოგია საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ქვეყანათა ჯგუფები რომლებიც ერთმანეთთან ახლოს დგანან პარამეტრთა ღირებულებების მიხედვით და აგრეთვე იძლევა იმის საშუალებას რომ ჩავატაროთ უფრო ზუსტი და ეფექტური ანალიზი თითოეული ჯგუფის ღირებულებათა, აგრეთვე სოციოლოგიურ და ეკონომიკურ პარამტრებს შორის არსებულ ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით რისთვისაც გამოყენებულია ძირითადი კომპონენტისა და კანონიკური კორელაციის ანალიზის მეთოდები. ამასთანავე, ჩატარებულ იქნა ორგანზომილებიანი, ნაწილობრივი და მრავალმხრივი კორელაციური შედარების მეთოდიკა კომპონენტთა მნიშვნელობისა და მათგან ყველაზე დიდი მნიშვნელოვნების მქონე კომპონენტების გამოვლენის მიზნით. მოცემულ კვლევაში გამოყენებულია მონაცემთა ანალიზის შPშშ-ის სტატისტიკური პროგრამის მეთოდი.

ანალიზის ფარგლებში ვლინდება, რომ არსებობს ირიბი კავშირი კორუფციასა და საგარეო ვალს შორის დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში და ისეთი ინდიკატორები როგორიცაა სამართლის სისტემა, მმართველობითი ეფექტურობა, პოლიტიკური სტაბილურობა, ძალადობის არარსებობა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი წარმოადგენენ უმთავრეს ფაქტორებს კორუფციასთან ბრძოლის მხრივ.

კვლევითი საშუალებების საიმედოობა

კვლევის ფარგლებში გამოყენებული თითოეული ანალიზის მეთოდი მიზნად ისახავს მონაცემთა კლასიფიცირებას და უმთავრესი ფაქტორების განსაზღვრას. შესაბამისად, გამოყენებული ყველა ანალიზის მეთოდს გააჩნია გარკვეული მნიშვნელობა და მოთხოვნები რაც ხდება კონკრეტული შედეგების მიზეზი დაკვირვებაში. უფრო დაწვრილებით, მთავარი კომპონენტი, კანონიკური კორელაციის ანალიზი მოითხოვს იმას, რომ დადგენილი ფუნქციები უნდა მოიცავდეს უფრო მაღალი საფეხურის კომპონენტებს, ვარიაციების პროცენტული რაოდენობით რომლებიც ახსნილია შესაბამისი საკუთრივი მნიშვნელობების საშუალებით. მთავარი კომპონენტის ანალიზი მოიცავს ბოხ'ს მ-ის ტესტის შედეგებს .000,.000 მნიშვნელობის ხარისხით. კანონიკური კორელაციის ანალიზი იძლევა KMO მნიშვნელობის ტესტის შედეგებს ყველა ჯგუფისთვის .000, ხარისხის კანონიკური კორელაციის მიხედვით რასაც აგრეთვე ერთვის მთლიანი ვარიაციების პროცენტული მაჩვენებელი. კვლევის ფარგლებში გამოყენებული ანალიზის მეთოდები ჩატარებულ იქნა 95 %-ული სიზუსტით. მნიშვნელობის ხარისხი ანუ ά (ალპჰა) უდრის 0.05 (α = 0.05) მთავარი კომპონენტისა და კანონიკური კორელაციის მეთოდებისთვის ხოლო (α

= 0.05), (α = 0.01) მნიშვნელობის ხარისხი ორგანზომილებიანი, ნაწილობრივი და მრავალმხრივი კორელაციებისთვის. ეს ნიშნავს, რომ ტესტირების შედეგები სანდოა 95 %-ით.

მეცნიერული ინოვაცია

- სახელმწიფოთა ჰომოგენური ჯგუფების დადგენის მიზნით დისკრიმინანტის ანალიზის გამოყენება.
- ფაქტორთა შედარებითი ანალიზის ჩატარება და შესაბამისად, კორუფციის ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების გამოვლენა.
- კორელაციური ანალიზის (ორგანზომილებიანი, ნაწილობრივი, მრავალმხრივი) გამოყენება კორუფციის თითოეული ფაქტორისთვის მათ შორის პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით.
- საქართველოსა და ყირგიზეთის მაგალითზე მმართველობითი ეფექტურობასა და კორუფციის ინდექს შორის შედარებითი ანალიზის ჩატარება.

კვლევის მნიშვნელობა

კვლევას გააჩნია ორმაგი მნიშვნელობა: თეორიული და პრაქტიკული. თეორიულ ნაწილში მოცემულია კორუფციის ზოგადი არსი, როგორც ასეთის, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები. იგი გვთავაზობს შესაძლებელ ფაქტორებს რომლებიც გავლენას ახდენენ კორუფციაზე და განსაზღვრავს უმნიშვნელოვანესებს მათ შორის. ნაშრომი აგრეთვე იძლევა შესაძლებელ თეორიულ ახსნა-განმარტებებს აღნიშნული ფაქტორებისა. შერჩეული ფაქტორების განმარტებებზე დამყარებით ნაშრომი იძლევა კონკრეტულ ახსნა-განმარტებებსა და პრაქტიკულ რეკომენდაციებს. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტორების თეორიული ახსნა-განმარტებები განმტკიცებულია ჩატარებული ანალიზის შედეგებით. ნაშრომში გამოყენებული თეორიული ბაზისი ფართოა, იგი შეადგენს ასზე მეტ წყაროს. ამსათანავე, წყაროთა უდიდესი ნაწილი წარმოადგენს საერთაშორისო მასშტაბით სხვადასხვა ავტორების სტატიებდან ამონარიდებს ისევე როგორც ინტერნეტიდან მოპოვებულ ელექტრონულ წყაროებს.

ნაშრომის სტრუქტურა

კვლევა შედგება 185 გვერდისგან. იგი დაყოფილია 3 თავად, 21 ქვეთავად, დამოწმებებად, დასკვნად და რეკომენდაციებად. ნაშრომში მოყვანილია 22 ცხრილი, 1 ფიგურა და 1 დანართი.

პირველი თავი განიხილავს კორუფციას და მის არსს ზოგადად ისევე როგორც მთლიანად კორუფციის კონცეპტს, მის სახეებს, მიზეზებსა და შედეგებს, აგრეთვე მასთან ბრძოლის მეთოდებს. მეორე თავი განიხილავს მმართველობითი სისტემის ფაქტორებს და ზოგიერთ სხვა ფაქტორს სადაც მოცემულია ახსნა-განმარტება ამ

ფაქტორებსა და კორუფციას შორის ურთიერთმიმართების შესახებ. Mმოცემულ თავში განიხილება აგრეთვე საგარეო ვალი, მისი მექანიზმები, მიზეზები, შედეგები და გადახდისუნარიანობის მდგრადობის საკითხები. მესამე თავის ფარგლებში განიხილება მონაცემთა ანალიზის საკითხი. Aანალიზი შეეხება საგარეო ვალს, კორუფციას და სხვა ცვლადებს მსგავსი პარამეტრების მქონე ქვეყანათა ჯგუფის მიხედვით.

ნაშრომის ბოლოში კი მოცემულია კვლევის შედეგები და რეკომენდაციები რომლებიც შეჯამებულია დასკვნით ნაწილში.

თეორიული სტრუქტურა

კორუფცია შეიძლება ნათლად იქნას განსაზღვრული. როგორც ზემოთ აღინიშნა, კორუფცია არის ძალაუფლების გამოყენება პირადი მიზნებისთვის. კორუფცია შეიძლება წარმოიშვას ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში (თანზი; 1998, LaPalombara; 1994). ამასთან, მისი შედეგებისა და ხანგრძლივობის დადგენა-განსაზღვრა უფრო რთულ ამოცანას წარმოადგენს. შესაბამისად, აუცილებელია კორუფციის მიზეზებისა და შედეგებთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა.

ლიტერატურის მიმოხილვა

მრავალი კვლევა ჩატარდა კორუფციის იმ შედეგებთან დაკავშირებით, რაც მას გააჩნია რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ზოგადად, კორუფციის მაღალი დონე გავლენას ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდაზე (ღოსე-აკერმან; 1975, შჰლეიფერ ანდ ვისჰნყ; 1993). კორუფცია წარმოადგენს ხელისშემშლელ ფაქტორს ეკონომიკური განვითარებისთვის. გარდა იმისა, რომ კორუფციას გააჩნია ნეგატიური გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე, იგი, აგრეთვე, სიღარიბის მაჩვენებლის ზრდასაც იწვევს (გუპტა, დავოოდი, ანდ ალონსო-თერნე; 1998). სხვა მკვლევარები (ჰაბიბ ანდ ძურაწიცკი, 2002) ასკვიან, რომ კორუფცია წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას პირდაპირი უცხოური ინვცესტიციებისთვის ამა თუ იმ სახელმწიფოში და შეიძლება გამოიწვიოს ინვესტიციების ნაკადის შემცირება (ჭეი; 2000).

რიგმა კვლევებმა აჩვენა, თუ როგორ მოქმედებს პოლიტიკურ-მმართველობითი სტრუქტურა და მისი გამჭვირვალეობა ინვესტიციებზე. საერთაშორისო კომპანიები თავს არიდებენ ინვესტიციათა ისეთ სახელმწიფოებში განხორციელებას, რომლებშიც მაღალია კორუფციის დონე. ბას-ის (ბუსსე,1996) კვლევა აჩვენებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც ინვესტორები რწმუნდებიან იმაში, რომ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლება შეამცირებს კორუფციის დონეს. მეტიც, შემჩნეულია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც

არსებობს კორუფციის მაღალი დონე, საჯარო დანახარჯები გაცილებით დაბალია იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც კორუფციის დონე დაბალია (ბუსცაგლია; 2001).

კიდევ ერთი კვლევა, რომელშიც განხილულია კორუფცია და მისი ზეგავლენა ეკონომიკაზე (მილკენ Iნსტიტუტე, ჰალლ, Yაგო; 1999), აჩვენებს, რომ მაღალი კორუფციის დონის მქონე ქვეყნებში სახელმწიფო ვალდებულებების გამოსყიდვა ხორციელდება საბაზრო ფასზე გაცილებით უფრო მაღალი ფასით, ვიდრე ის ქვეყნებში, სადაც კორუფციის დონე დაბალია, რაც მაღალკორუფციულ ქვეყნებში დამატებით იწვევს ინფლაციის გაზრდას.

ზოგ კვლევებში განხილულია კორუფციის წარმოშობის მიზეზები. შემჩნეულია ის, რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც ძალაუფლება ვიწრო ჯგუფების ხელთაა კონცენტრირებული და არ არის გამჭვირვალე, აგრეთვე სამართლებრივი სისტემაც შესაბამისად არატრანსპარენტულია, არსებობს კორუფციის მაღალი დონე.

სხვა მოსაზრების მიხედვით (ადეს ანდ დი თელლა (1996, 1999) სახელმწიფოები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში, ნაკლებად კორუმპირებულნი არიან. თუმცაღა, აქაც მდგომარეობა შეიძლება იცვლებოდეს სახელმწიფოთა მიხედვით რადგანაც კორუფციის არსებობაზე გავლენას ახდენს აგრეთვე სამთავრობო პირების საქმიანი და მორალური თვისებები და ღიაობის პრინციპი ვაჭრობის სფეროში რაც თავის მხრივ ასევე განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მაურო-ს (მაურო, 1995) მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ არსებობს კავშირი კორუფციასა და დაბალ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის. იმ შემთვევაშიც კი, როდესაც ქვეყანა ღიაა საერთაშორისო ვაჭრობისადმი, ინვესტიციის დონე დაბალი დარჩება, თუკი კორუფციის დონე მაღალია.

კორუფციის ძირითადი მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება ჩვენს კვლევაში (ჟოჰნსონ, Kაუფმანნ ანდ ძოიდო-Lობატონ; 1998) ასევე განიხილავს ჩრდილოვანი ეკონომიკის ამა თუ იმ მხარეებს. აუცილებელია იმის ცოდნაც, რომ გარდა ოფიციალური ეკონომიკური საქმიანობისა არსებობს კიდევ ჩრდილოვანი ძალები, რომლებიც იწვევენ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების წახალისებას იმოქმედონ ამორალურად, არაზნეობრივად, დანაშაულებრივად, რაც თავის მხრივ იწვევს კორუფციის მაჩვენებლების კიდევ უფრო გაურესებას.

ასეთი ჩრდილოვანი საქმიანობის აღმოფხვრა შესაძლებელია სამართალდამცავი სისტემის ეფექტურობაზე.

ზოგი მკვლევარი ამტკიცებს, (შჰლეიფერ; 1997), რომ შედარებით განვითარებულ, ბრიტანული-პარლამენტარული მოწყობის და მაღალი იმპორტის დონის მქონე სახელმწიფოები არიან ნაკლებ კორუმპირებულნი, ვიდრე ფედერალური მოწყობის სახელმწიფოები. კორუფცია წარმოდგენილია როგორც მთავარი დაბრკოლება პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებისთვის დემოკრატიული

ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და ეფექტური საბაზრო ეკონომიკური სისტემის შექმნაში

კორუფციის სუბიექტური შეფასებანი გავლენას ახდენენ საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე, ეკონომიკურ ზრდასა და მოქალაქეთა პოლიტიკურ ქცევაზე (მაურო; 1995).

ჯეინ-ი (ჟაინ (2001) სამართლებრივ სისტემას განიხილავს როგორც კორუფციის წარმომქმნელ ერთ-ერთ ცვლადს. თუმცა, აღნიშნული ცვლადი კარგავს თავის მნიშვნელობას ისეთი ავტორების შრომებში, როგორიცაა ადსერა, ბოიხ და პაყნე (2000), როგორც ეს დანილა სერრა-მ (დანილა შერრა) მიუთითა. როგორც აღმოჩნდა, სახელმწიფოს ბიუჯეტი, შედარებული მთლიან შიდა პროდუქტთან, მცირდება იმისდა მიხედვით, თუ რა ტემპით იზრდება კორუფციის დონე ამა თუ იმ სახელმწიფოში. მაინც, სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ეფექტურობამ შეიძლება შეამციროს კორუფციის დონე, როდესაც იგი არ მისცემს საშუალებას ბიუროკრატიასა და სამთავრობო ჩინოვნიკებს გამოიყენონ საკუთარი თანამდებობები პირადი მიზნებისთვის.

კიდევ ერთი მკვლევარი (ბეწოპო ატილლა, 2008) აღნიშნავს, რომ კორუფცია შეიძლება გამოწვეული იყოს სახელმწიფოთა ურთიერთკავშირის შედეგად. მკვლევარმა გამოიყენა ემპირიული კვლევის სხვადასხვა მეთოდი (ავტოკორელაციის ტესტი, უმცირეს კვარდატთა სამ-სტადიანი ტექნიკა და სხვ.). რათა დაედგინა კორუფციის წარმოშობა სახელმწიფოთა ურთიერთკავშირის საფუძველზე. ბეწოპო ატილლა-ს მიხედვით დაბალი რეგიონალური კორუფცია ასოცირებულია დაბალ ნაციონალურ კორუფციასთან. ადეს და დი ტელლა-ს (ადეს ანდ დი თელლა, 1999) მიხედვით ღიაობა საგარეო ვაჭრობის მხრივ პოზიტიურ კორელაციაშია კორუფციის დაბალ დონესთან.

როგორც კანდელაკი (კანდელაკი, 2006) ამტკიცებს, `ვარდების რევოლუცია~ საქართველოში გამოწვეულ იქნა წინა პრეზიდენტის კორუმპირებული რეჟიმის არსებობით რამაც გამოიწვია ხალხთა დიდი მასების მობილიზება არსებული პოლიტიკური სისტემის შეცვლის მიზნით.

კვლევის ფარგლებში ფოკუსირება ხდება ცხრა შესაძლებელ ფაქტორზე, რომლებიც გავლენას ახდენენ კორუფციაზე: კანონის უზენაესობა, მმართველობითი ეფექტურობა, პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის არარსებობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, მოსახლეობა, საგარეო ვალი, მთლიანი შიდა პროდუქტი, საგარეო ვალი მოსახლეობის ერთ სულზე. მმართველობასთან დაკავშირებული ფაქტორები შერჩეულ იქნა იმის გამო, რომ იგი წარმოადგენს უმთავრეს ფაქტორს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური თუ სოციალური რესურსების მართვის თვალსაზრისით. მეტიც, ამ ფაქტორს გააჩნია უფრო დიდი მნიშვნელობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ, ვიდრე ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა

კულტურა ან რელიგია და შესაბამისად, უკეთ ერგება მოცემული კვლევის მიზნებს. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კანონის უზენაესობა, მმართველობითი ეფექტურობა, პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის არარსებობა, პასუხისმგებლობის გრძნობა წარმოადგენს იმ უნივერსალურ ინდიკატორებს, რომლებიც დადგენილ იქნა მსოფლიო ბანკის მიერ, (დანიელ კაუფმან) და თანამედროვე ლიტერატურაში ისინი მიღებულია, როგორც სწორი მმართველობის ძირითადი პრინციპები. მმართველობითი ინდიკატორები ემყარება საერთაშორისო მასშტაბებით აღიარებულ წყაროებს და მოიცავს ნაციონალურ, რეგიონალურ და გლობალურ შეფასებათა ნუსხებს.

კვლევის დაგეგმვისა და იმპლემენტაციის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა უცხოურ ინვესტიციებისა და საგარეო ვალის კორელაციურ კავშირს კორუფციასთან. (ლამბსდორფფ; 2003, 2005; თანზი ანდ დავოოდი; 1997, 2001

მონაცემები და მეთოდოლოგია

მოცემული კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა მონაცემები მსოფლიოს 134 ქვეყნიდან 1998-2009 პერიოდის ფარგლებში. ამასთანავე, მონაცემები შესაბამის დროით მონაკვეთის ფარგლებში გადანაწილებულია კონკრეტული ქვეყნების ე.წ. კორუფციულ ფაქტორებთან მიმართებაში. მოცემულ 134 სახელმიფოთა შორის 25 წარმოადგენს დაბალი შემოსავლების მქონე სახელმწიფოს, 36 მათგანი საშუალო შემოსავლის მქონეა, 40 მათგანი –საშუალოზე მაღალი შემოსავლია მქონე, ხოლო 33 კი მაღალი შემოსავლის დონის მქონეა. ანალიზის ფარგლებში განხილულია რვა ფაქტორი, კერძოდ:: კანონის უზენაესობა, მმართველობითი ეფექტურობა, პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის არარსებობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, მოსახლეობის ოდენობა, საგარეო ვალის მოცულობა, მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდე, საგარეო ვალი ერთ სულ მოსახლეზე ის მიხედვით. კორუფციის ინდექსები მოპოვებულია ორგანიზაცია თრანსპარენცყ Iნტერნატიონალ-ოფიციალური მონაცემებიდან , მმართველობითი მაჩვენებლები როგორიცაა კანონის უზენაესობა, მმართველობითი ეფექტურობა, პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის არარსებობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, მოსახლეობა და საგარეო ვალი – მსოფლიო ბანკის მონაცემებიდან , მოსახლეობა და მთლიანი შიდა პროდუქტი - CIA ფაცტბოოკ. -დან

გარდა ზემოთ აღნიშნული დაჯგუფების მეთოდისა ყველა მონაცემები სტანდარტიზირებულ იქნა საშუალო და სტანდარტული დევიაციის მეთოდის მიხედვით. იქედან გამომდინარე, რომ სახელმწიფოები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონეების მიხედვით, აუცილებელია იმის მითითება, თუ რომელი მაჩვენებლების მიხედვით მოხდა ამა თუ იმ სახელმწიფოს მიკუთვნება კონკრეტული ჯგუფისადმი. შესაბამისად, სახელმწიფოები დაყოფილია ოთხი ჯგუფის მიხედვით, ესენია: დაბალი შემოსავლის

მქონე (ჯგუფი 1), საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე (ჯგუფი 2), საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე (ჯგუფი 3) და მაღალი შემოსავლის მქონე სახელმწიფოები (ჯგუფი 4). ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემთა გაანალიზების მიზნით გამოყენებულია სხადასხვა მეთოდები რომლებშიც შედის დისკრიმინანტთა ანალიზი (DA- დისცრიმინანტ ანალყსეს), კანონიკური კორელაცია (ჩჩ- ჩანონიცალ ჩორრელატიონ), ძირითადი კომპონენტების ანალიზი (პჩშ - პრინციპალ ჩომპონენტ ანალყსის) და კორელაციების ანალიზი (წყვილი, კერძო, მრავლობითი). დისკრიმინანტთა ანალიზის ძირითადი მიზანია კინკრეტულ ჯგუფთა საშუალებების ხარისხის ტესტირება მაშინ როდესაც ძირითადი კომპონენტის ანალიზის მეშვეობით დგინდება ყველაზე მნიშვნელოვანი ცლვადები რაც კი გამოიყენება ანალიზის ფარგლებში. კანონიკური კორელაციის ანალიზის მიზანია იმის გარკვევა, შეიძლება თუ არა ის ფაქტორები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამა თუ იმ კონკრეტულ ჯგუფში, შემჩნეულ იქნან სხვა დანარჩენი ჯგუფების ფარგლებშიც. დაბოლოს, წყვილი, კერძო, მრავლობითი კორელაციის ანალიზს მიმართავენ იმ მიზნით, რომ დადგინდეს განსხვავება ცვლადთა შორისი კორელაციის ფარგლებში. მონაცემების ანალიზის მიზნით გამოიყენება შPშშ- ის კომპიუტერული პროგრამა.

მონაცემები კორუფციის შესახებ მოპოვებულია ორგანიზაცია თრანსპარენცყ Iნტერნატიონალ-ის ოფიციალური წყაროების ბაზაზე (თI; 1998 - 2009). Kკორუფციის ინდექსი მოიცავს 1998-2009 წლების პერიოდს რომელიც მერყეობს 0-დან 10-მდე სადაც 0 აღნიშნავს კორუფციის უმაღლეს დონეს ხოლო 10 კი მის უმდაბლეს დონეს.

Kკანონის უზენაესობის ინდექსები მოპოვებულია მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდიკატორების ვებ-გვერდის ბაზაზე (ჭორლდ ბანკ; 2010). Kკანონის უზენაესობის ინდიკატორის მეთოდი შემოღებულ იქნა დანიელ კაუფმანის (ბროოკინგს Iნსტიტუტიონ), აგრეთვე აარტ კრააის (ჭორლდ ბანკ დეველოპმენტ ეცონომიც ღესეარცჰ გროუპ) და Mმასსიმო მასტრუზის მიერ (ჭორლდ ბანკ Iნსტიტუტე). კანონის უზენაესობის ინდექსი მერყეობს -2.5-დან 2.5-მდე სადაც -2.5 აღნიშნავს სამართებრივი სისტემის ეფექტურობის დაბალ დონეს ხოლო 2.5 კი აღნიშნავს იგივე ფაქტორის მაღალი ეფექტურობის დონეს. აღნიშნული ინდექსის მეშვეობით იზომება სამართლებრივი სისტემის ეფექტურობა ამა თუ იმ კონკრეტულ სახელმწიფოში და სახელმწიფო ჩინოვნიკებისა და რიგითი მოქალაქეების მხრივ სამართლის ნორმების დაცვის ხარისხს.

მმართველობითი ეფექტურობის ინდიკატორები მოპოვებულ იქნა მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდიკატორების ვებ-გვერდიდან (კაუფმან, მასტრუზზი, კრააყ; 2009). აღნშნული ინდექსი არის კანონის უზენაესობის ინდექსის იდენტური და მერყეობს -2.5-დან 2.5-მდე სადაც -2.5 აღნიშნავს მმართველობის ეფექტურობის დაბალ ხარისხს და პირიქით. მმართველობითი ეფექტურობის ინდექსი ზომავს მთავრობის საჯარო მომსახურების ხარისხს, პოლიტიკური წნეხისგან ამ სახის მომსახურების თავისუფლების ხარისხს, პოლიტიკის ფორმირების ხარისხსა და

იმპლემენტაციას, მთავრობის ჩართულობის ხარისხი საკადრო პოლიტიკის დანერგვის მხრივ (ლიი, ჭჰიტფორდ; 2008).

Pპასუხისმგებლობის ხარისხის ინდექსი ადგენს პოლიტიკისა და თავისუფლებების ხარისხს -2.5-დან მდე სადაც -2.5 აღნიშნავს მმართველობის ყველაზე ცუდ ფორმას ხოლო 2.5 კი აღნიშნავს მის საუკეთესო ფორმას. აღნიშნული ინდექსი მოპოვებულია Eარტჰტრენდს – ის მონაცემების საფუძველზე (ჭორლდ ბანკ; 2010ა), იგი აგრეთვე ხელმისაწვდომია მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდიკატორების ვებ-გვერდზე. აღნიშნული ინდექსი ზომავს ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა ჩართულობის დონეს სამთავრობო არჩევნებში ისევე როგორც მათ მიერ გამოხატვის თავისუფლების, პრესის თავისუფლების ხარისხის ჩათვლით (ჭორლდ Bანკ; 2010ბ).

პოლიტიკური სტაბილურობისა და ძალადობის არარსებობის ინდექსი მოპოვებულია მსოფლიო ბანკის მმართველობის ინდექსის ვებ-გვერდზე და მერყეობს ზემოთ მოყვანილ მაჩვენებლებს შორის და შესაბამისად, -2.5 აღნიშნავს პოლიტიკურ არასტაბილურობასა და ძალადობას მაშინ როდესაც 2.5 აღნიშნავს მათ არარსებობას კონკრეტულ ქვეყანაში. აღნიშნული ინდექსი გულისხმობს არაკონსტიტუციონალური დესტაბილიზაციის ალბათობასა და შიდა ძალადობას ტერორიზმის ჩათვლით (ჭორლდ ბანკ; 2010ც).

საგარეო ვალის მონაცემები მოპოვებულია მსოფლიო ბანკის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე და იგი აჩვენებს ამა თუ იმ ქვეყანაში დაგროვილ საგარეო დავალიანების მოცულობას 1998-2009 წლების პერიოდში. აღნიშნული მონაცემების მოიცავს ინფორმაციას განვითარებად და განვითარებული ქვეყნების საგარეო ვალებთან დაკავშირებით. განვითარებულ სახელმწიფოთა საგარეო დავალიანებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მოპოვებულ იქნა გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE). მონაცემთა საფუძველზე.

ერთ სულ მოსახლეზე საგარეო ვალის ინდექსი წარმოადგენს ზოგადი საგარეო დავალიანების მონაცემთა შემადგენელ ნაწილს. აღნიშნული ცვლადი გამოანგარიშებულ იქნა კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასთან მთლიანი საგარეო ვალის შეფარდებით. საგარეო ვალის კონტროლი შეიძლება ეფექტური იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწილდება ქვეყნის მთლიანი მოსახლეობაზე და არა მხოლოდ მცირე რაოდენობის დაინტერესებულ პირთა შორის. შესაბამისად, როდესაც მთლიანი მოსახლეობა აკონტროლებს არსებულ ფინანსურ რესურსებს, ალბათობა იმისა, რომ ამ რესურსების გადანაწილება მოხდება სამართლიანად, არის უფრო დიდი.

- მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ სულ მოსახლეზე ოდენობის ინდექსი მოპოვებულია ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (ჩენტრალ Iნტელლიგენცე

Aგენცყ, ßIA ფაცტბოოკ) მონაცმეთა ბაზაზე. Mმონაცემები მოიცავენ 1998-2009 წლების პერიოდს.

Dდასკვნები

მოცემული კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ უკონტროლო და შეუზღუდავი ადმინისტრაციული ძალაუფლება ხდება მისი არასწორი მიზნებისთვის გამოყენების მიზეზი, რაც გამოიხატება პროტექციონიზმსა და სხვადასხვა სოციალური შეღავათების არასამართლებრივი გზით მოპოვებაში. ხშირ შემთხვევებში გარკვეული სახელმწიფო ორგანოების მხრივ ეკონომიკური ლობირებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადების მეშვეობით ხდება ვიწრო ინტერესთა ჯგუფების ხელშეწყობა. კორუფციის ხელშემწყობ ფაქტორთა შორის შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ადმინისტრაციული პერსონალის დაბალი ანაზღაურება, რაც ხდება ხოლმე ადმინისტრაციული ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მიზეზი.

ამრიგად, კორუფციის უარყოფითი შედეგები ქვეყნისა და საზოგადოების სოციალური და ეკონომიკურ-პოლიტიკური ცხოვრების ფართო სპექტრს მოიცავს. იგი არა მხოლოდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს აზიანებს, არამედ სიღრმისეულად ცვლის სახელმწიფოს სოციალურ გარემოსაც. Yყველა ფაქტორი, რომელიც კორუფციის შედეგს წარმოადგენს, როგორიცაა არაეფექტური კანონმდებლობა, სუსტი მმართველობა და დემოკრატიული ინსტიტუტები, საფრთხეს უქმნიან სოციალურ უფლებებსა და ღირებულებებს კონკრეტულ საზოგადოებაში. Kკორუფციის შედეგად არსებული უთანასწორო შემოსავლები და უმუშევრობა ამცირებს ამა თუ იმ ერის ცხოვრების სტანდარტებს. იგი ქმნის უსამართლო კონკურენციის გარემოს ბაზარზე მოქმედი ფირმებისთვის და ზრდის ბიზნესის კეთების ღირებულებას. კერძო სექტორში კორუფცია ხელს უწყობს ეკონომიკურ შეუსაბამოებებს, როდესაც საჯარო მოხელეები იყენებენ საჯარო რესურსებს პირადი მიზნებისთვი, სადაც ისინი ახდენენ საჯარო რესურსების ისეთ სხვადასხვა სახის პროექტებში ინვესტირებას, რომლის დროსაც ხდება მაღალი დონის უკანონო შემოსავლების მიღება. ზოგადად, ასეთი სახის ქმედებები ამცირებს სამთავრობო სერვისების ხარისხს, საჯარო ინვესტიციებსა და ინფრასტრუქტურის განვითარებას. ზოგიერთ შემთხვევაში იგი იწვევს არასაკმარის საჯარო ხარჯებს, რადგანაც სახელმწიფო ბიუჯეტი ზარალდება ზემოთ აღნიშნული უკანონო ქმედებების შედეგად. ასეთი სახის ქმედებები ამცირებს მთავრობისადმი ნდობისა და ტოლერანტობის ხარისხს, დემოკრატიულ ღირებულებებსა და მთავრობის ლეგიტიმაციის ხარისხს. კორუფცია აგრეთვე არაეფექტური საჯარო მომსახურებების მიზეზი ხდება, იგი ამცირებს ბაზარზე კონკურენტუნარიანობას, რესურსების არათანაბარ გადანაწილებას, ზრდის სიღარიბეს დაბალ ფენებში და წარმოქმნის დიდ სხვაობას შემოსავლებს შორის.

პოლიტიკურ სფეროში კორუფცია ამცირებს მმართველობითი პროცესების ეფექტურობას, ეცემა მმართველობისა და დემოკრატიის ხარისხი, ამასთანავე მცირდება ადმინისტრატიულ და საჯარო დანახარჯების გამჭვირვალობა, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს პოლიტიკური გადაწყვეტილებების იმპლემენტაციაზე. საკანონმდებლო სისტემის არაეფექტურობა კორუფციის მიზეზი ხდება მართლმსაჯულების სისტემაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში.. პოლიტიკური კორუფცია ქვეყნის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია, იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას თანამედროვე მსოფლიოში.

წინამდებარე ნაშრომში ჩატარებული დისკრიმინანტული ანალიზით განხორციელდა სახელმწიფოთა კლასისფიკაცია შემდეგი ჯგუფების მიხედვით:

1. ღარიბი ქვეყნები (დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნები – ჯგუფი 1):
2. საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნები (ჯგუფი III):
3. საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნები (ჯგუფი II):
4. მდიდარი ქვეყნები (მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნები - ჯგუფი IV):

კორელაციური ანალიზით დადგინდა სხვადასხვა ფაქტორის კორუფციასთან კავშირის რიცხვითი მნიშვნელობები და, შესაბამისად, გამოიკვეთა კორუფციასთან დაკავშირებული ფაქტორები სახელმწიფოთა სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

1. ღარიბი ქვეყნები (დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნები – ჯგუფი 1):

ღარიბ ქვეყნებში კორუფციის არსებობაზე კორელაციის წყვილი კოეფიციენტის მიხედვით განსაკუთრებით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კანონიერებისა და სახელმწიფო მართვის მაჩვენებლები (სხვა დანარჩენი ფაქტორების ერთობლივი გავლენის შემთხვევაში):

1. რაც უფრო მაღალია კანონიერების დაცვის მაჩვენებელი, მით უფრო ნაკლებია კორუფცია:
2. რაც უფრო მაღალია სახელმწიფოს მმართველობითი ეფექტიანობა, მით უფრო დაბალია კორუფცია:

მაგრამ, სხვა ფაქტორების გავლენას გამორიცხვის შემთხვევაში (ანუ კორელაციის კერძო კოეფიციენტის მიხედვით) აღმოჩნდება, რომ სახელმწიფოს მმართველობითი ეფექტიანობა აღარ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას კორუფციის მდგომარეობაზე, კანონიერების დაცვის მოთხოვნა კი კვლავაც მნიშვნელოვანია. მაშასადამე ღარიბ ქვეყნებში კანონიერების დაცვა და სხვა მოთხოვნების შესრულება გადამწყვეტია კორუფციის აღმოფხვრასთან მიმართებაში. ამავე დროს, რაც უფრო ნაკლებია ქვეყნის უსაფრთხოებს, მით უფრო იზრდება კორუფციის მაჩვენებელი.

ამრიგად, კორუფციის აღმოფხვრის მიზნით ღარიბი ქვეყნების უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს კანონიერების დაცვის უზრუნველყოფა.

2. საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნები (ჯგუფი III):

საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში კორუფციის არსებობაზე კორელაციის წყვილი კოეფიციენტის მიხედვით განსაკუთრებით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კანონიერებისა და სახელმწიფო მართვის მაჩვენებლები და პოლიტიკური სტაბილურობა (სხვა დანარჩენი ფაქტორების ერთობლივი გავლენის შემთხვევაში):

1. რაც უფრო მაღალია კანონიერების დაცვის მაჩვენებელი, მით უფრო დაბალია კორუფცია:
2. რაც უფრო მაღალია სახელმწიფოს მმართველობითი ეფექტიანობა, მით უფრო დაბალია კორუფცია:
3. რაც უფრო მაღალია ქვეყნის უსაფრთხოების მაჩვენებელი, მით უფრო დაბალია კორუფცია:

სხვა ფაქტორების გავლენას გამორიცხვის შემთხვევაში (ანუ კორელაციის კერძო კოეფიციენტის მიხედვით) აღმოჩნდება, რომ მთავარ ფაქტორებად რჩება კანონიერების დაცვისა და სახელმწიფოს ეფექტიანობის მაჩვენებელი, ამავე დროს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ხდება სიტყვის თავისუფლება. სხვა ფაქტორების გავლენა უმნიშვნელოა აღმოჩნდება.

ამრიგად კორუფციის აღმოფხვრის მიზნით საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების უმთავრესი ამოცანა კანონიერების დაცვისა და სახელმწიფო ეფექტიანობის განმტკიცებასთან ერთად უნდა იყოს სიტვის თავისუფლების უზრუნველყოფა.

3. საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნები (ჯგუფი II):

საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში კორუფციის არსებობაზე კორელაციის წყვილი კოეფიციენტის მიხედვით განსაკუთრებით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კანონიერებისა და სახელმწიფო მართვის მაჩვენებლები, პოლიტიკური სტაბილურობა და სიტყვის თავისუფლება (სხვა დანარჩენი ფაქტორების ერთობლივი გავლენის შემთხვევაში):

1. რაც უფრო მაღალია კანონიერების დაცვის მაჩვენებელი, მით უფრო დაბალია კორუფცია:
2. რაც უფრო მაღალია სახელმწიფოს მმართველობითი ეფექტიანობა, მით უფრო დაბალია კორუფცია:
3. რაც უფრო მაღალია ქვეყნის უსაფრთხოების მაჩვენებელი, მით უფრო დაბალია კორუფცია:

4. რაც უფრო მაღალია სიტყვის თავისუფლება ქვეყანაში, მით უფრო დაბალია კორუფცია:

სხვა ფაქტორების გავლენას გამორიცხვის შემთხვევაში (ანუ კორელაციის კერძო კოეფიციენტის მიხედვით) აღმოჩნდება, რომ მთავარია სახელმწიფო ეფექტიანობა, სხვა ფაქტორების გავლენა კი უმნიშვნელო აღმოჩნდება.

ამრიგად საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს სახელმწიფო ეფექტიანობის განმტკიცდება კორუფციის აღმოფხვრის მიზნით.

4. მდიდარი ქვეყნები (მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნები - ჯგუფი IV):

მდიდარ ქვეყნებში ზუსტად ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, როგორც საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში:

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ღარიბი და საშუალოზე ღარიბი ქვეყნების შემთხვევაში პირველ რიგში აუცილებელია კანონის უზენაესობის დაცვა, სახელმწიფო მართვის ეფექტიანობა და სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფა, ხოლო მდიდარ ქვეყნებში – სახელმწიფო მართვის ეფექტიანობა (ივარაუდება, რომ კანონის უზენაესობა ბუნებრივად არის უზრუნველყოფილი)

ამრიგად, კორუფციის მიზეზთა შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვითა და წინამდებარე კვლევით ჩანს, რომ კორუფცია როგორ წესი იწყება სამთავრობო დონეზე და შესაბამისად, მის წინააღმდეგ ბრძოლა იქნება ეფექტური მხოლოდ მმართველობითი პროცესების სათანადოდ ორგანიზებისა და ადმინისტრაციული რესურსის შესაბამისად მოტივირებისა შემთხვევაში. შესაბამისად, მოცემული კვლევის ფარგლებში შერჩეული იქნა მმართველობითი ინდიკატორები და კორუფციის გამომწვევი ზოგიერთი სხვა ფაქტორი. Gგამოვლენილია, რომ უმთავრეს ფაქტორებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის წარმოადგენს შემდეგი მმართველობით პროცესის მახასიათებლები: კანონის უზენაესობა, სამთავრობო ეფექტურობა, პოლიტიკური სტაბილურობა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი. ჩამოთვლილი ინდიკატორების პარალელურად შერჩეულია აგრეთვე სხვა ფაქტორებიც რომლებიც განიხილება კორუფციასთან მიმართებაში, მათ შორის საგარეო ვალის ფაქტორი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რადგანაც ბევრ სახელმწიფოს მთელი მსოფლიოს მასშტაბით გააჩნია მნიშვნელოვანი საგარეო ვალი და ამ ვალის გადახდა მათთვის წარმოადგენს უმთავრეს საკითხს. ეს ფაქტორები მოიცავს საგარეო ვალს, მთლიან შიდა პროდუქტს, მოსახლეობის რაოდენობას და საგარეო ვალის ოდენობას თითოეულ მოქალაქეზე, რომლებიც ასევე განიხილება კორუფციათან მიმათრებაში. კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, მოსახლეობა და საგარეო ვალის ოდენობა თითოეულ მოქალაქეზე, არ გააჩნიათ

მნიშვნელოვანი გავლენა კორუფციაზე ზოგადად. თუმცა, შეინიშნება ირიბი კორელაცია კორუფციის ზრდასა და საგარეო ვალის ზრდაში დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. Mმიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს პირდაპირი კორელაცია საგარეო ვალსა და კორუფციის ხარისხს შორის, ორივე მათგანს გააჩნია მნიშვნელოვანი კორელაცია სამთავრობო ინდიკატორებთან. მოყვანილი ფაქტორების პარალელურად სამთავრობო ინდიკატორები აჩვენებს, რომ მათ გააჩნიათ მნიშვნელოვანი კორელაცია კორუფციის ფენომენთან. თუმცა, სამთავრობო ინდიკატორები კორუფციასთან მიმართებაში იცვლება სახელმწიფოთა ჯგუფების მიხედვით. სახელმწიფოთა პირველ ჯგუფში (დაბალი შემოსავლების მქონე სახელმწოფოები) შეინიშნება ორი მთავარი სამთავრობო ინდიკატორი: ეფექტური სამართლებრივი სისტემა და სახელმწიფოს მმართველობითი ეფექტიანობა რაც ამცირებს კორუფციის დონეს თუმცა, სახელმწიფოს მმართველობითი ეფექტიანობა კარგავს მნიშვნელობას როდესაც სხვა ცვლადების ეფექტები არ არის გათვალისწინებული. ეს ნიშნავს, რომ თუ სახელწიფოში არ არსებობს კანონის უზენაესობა, შეუძლებელია სახელმწიფოს მმართველობითი ეფექტიანობა და კორუფციას შორის კორელაციის შემჩნევა. Kკორელაციური ანალიზი კორუფციასა და სხვა ცვლადებს შორის სახელმწიფოთა მეორე ჯგუფში (საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე სახელმწიფოები) გვაჩვენებს, რომ ყველა სამთავრობო ცვლადები მნიშვნელოვანია და მაშინაც კი, როდესაც სხვა დანარჩენი ცვლადები გამოირიცხულია, სამთავრობო ინდიკატორები ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას. სახელმწიფოთა მესამე ჯგუფში (საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე სახელმწიფოები) კორუფციასა და სამთავრობო ინდიკატორებს შორის კორელაცია მნიშვნელოვანი რჩება შეცდომის ალბათობის მეტად მცირე დონის დროსაც კი ( )ეს იმას ნიშნავს, რომ კანონის უზენაესობის პრინციპი, სახელმწიფოს მმართველობითი ეფექტიანობა, პოლიტიკური სტაბილურობა შეამცირებს კორუფციის დონეს ამა თუ იმ ქვეყანაში და ჩამოთვლილ ცვლადებს გააჩნიათ თანაბარი მნიშვნელობა იმ შემთხვევაშიც კი, თუკი გამოვტოვებთ რომელიმე მათგანს. სახელმწიფოთა მეოთხე ჯგუფი (მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნები) აჩვენებს, რომ სამთავრობო ინდიკატორები აქაც ინარჩუნებენ მნიშვნელობას კორუფციასთან დაკავშირებით, რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი აღნიშნული ინდიკატორები ინარჩუნებენ მაღალ ხარისხს ასეთ შემთხვევაში კორუფციის ხარისხი დაეცემა. მესამე ჯგუფის მსგავსად აღნიშნული ჯგუფის სამთავრობო ინდიკატორებიც გარდა სახელმწიფოს მმართველობითი ეფექტიანობისა კარგავს მნიშვნელობას, როდესაც დანარჩენი ცვლადების ზეგავლენა არ არის გათვალისწინებული. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ მე-2, მე-3 და მე-4 ჯგუფების სახელმწიფოთ მხოლოდ მმართველობით ეფექტიანობას შეუძლია შეამციროს კორუფციის ხარისხი გარკვეულ დონემდე. პირველ ჯგუფში კი სახელმწიფოს მმართველობითი ეფექტიანობის, კანონის უზენაესობისა და სხვა ფაქტორების გარეშე არ გააჩნია იგივე უნარი კორუფციის შემცირების მხრივ.

მოყვანილი არგუმენტების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომ სამთავრობო ინდიკატორები წარმოადგენენ იმ ფაქტორებს, რომლებსაც შეუძლიათ ითამაშონ გადამწყვეტი როლი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. Мმეტიც, მაღალი დონის სამთავრობო ინდიკატორების არსებობა უმთავრესი ფაქტორია კეთილდღეობის პრინციპებზე დამყარებული ძლიერი სახელმწიფოს წარმატებული გამვითარების თვალსაზრისით. შესაბამისად, სამთავრობო პირებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებს. Uუფრო დაწვრილებით კი, არ არის საკმარისი მხოლოდ ინვესტორთა მოზიდვა, განვითარების ახალ პროგრამებზე მუშაობა და ეკონომიკური წარმატების მიღწევა ამა თუ იმ კონკრეტულ სახელმწიფოში. ყურადღება უნდა მიექსეც მმართველობით ინდიკატორებსაც. ამასთანავე, საჭიროა სამართლებრივი სისტემის დახვეწა, სახელმწიფოს მმართველობითი ეფექტიანობის გაზრდა, პოლიტიკური სტაბილურობა და ზოგადი პასუხისმგებლობის ხარისხის ამაღლება. შესაბამისად, განვითარებად ქვეყნებში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი უნდა განიხილებოდეს ურთიერთკავშირში სახელმწიფო პოლიტიკის სწორად წარმართვის მიზნით.

დაბოლოს, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ზემოთ აღნიშნული ანტიკორუფციული ფაქტორების მეშვეობით გამოიწვევს არა მარტო კორუფციისა და საგარეო დავალიანების შემცირებას, არამედ განავითარებს ამა თუ იმ კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკასაც. სხვა სიტყვებით, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა ზემოთ მოყვანილი ანტიკორუფციული ფაქტორები წარმატების საწინდარია თავისთავად, მაგრამ ისინი ნაკლებად ეფექტური იქნება ხელისუფლების აქტიური მოქმედებების გარეშე.

პუბლიკაციები

1. Ryskulov, U., (2010), Political Instability, Revolution: Comparison between Kyrgyzstan and Georgia, *IBSU Scientific Journal,* Issue 4, Volume 2, p. 97-112.
2. Ryskulov, U., (20100, Lobbying as a form of Corruption, *Intercultural Relations Society, No:13, p. 84-89*
3. Ryskulov, U., (2010), Classification and forms of corruption, *Intelekt International Periodical Scientific Journal,* No:3, Volume 38, p.47-55.